



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 36 9

განკარგულება

31/01/2020

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2020 წელს საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის მიერ დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო წინადადებების განხილვისა და მოწონების შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 24 იანვრის N31/301 წერილი, რომლითაც ითხოვს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2020 წელს საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო წინადადებების განხილვასა და მოწონებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე:

1. მოწონებულ იქნეს „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2020 წელს საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებები წარმოდგენილი დანართი N2-ის მიხედვით.

2. შერჩეული საპროექტო წინადადებები ინიცირების სახით წარედგინოს საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

4. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

5. განკარგულებაში იქნება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქუთაისი, კუპრამის ქუჩა N11).

პაატა ახალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მ.შ



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2020 წლის 31 იანვრის №36 9 განკარგულების
დანართი №1

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რგ(პ) ფონდის მიერ 2020 წელს დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტები

	პროექტის დასახელება	პროექტის სრული ღირებულება საპროექტო დოკუმენტ. ღირ. გარეშე	მ.შ.მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილი თანხა	მ. შ. ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება (5%)	პროექტის განხორციელების ვადები	შენიშვნა
1	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. წყალტუბოში (მეორე უბანი) სასმელი წყლის ქსელის მოწყობა	708310	672895	35415	2020 წლის იანვარი მაისი	
2	ქ. წყალტუბოში კოლხეთის ქ.№ 19 საცხოვრებელ სახლთან, სოფ. ქვიტირში ყოფილი საჯარო სკოლის შენობის ეზოში და სოფ. ფარცხანაყანევში შაშიაშვილებისა და კუჭუხიძეების უბნებში მინი სპორტული მოედნების მოწყობისა და ქ. წყალტუბოში რუსთაველის ქუჩის პირველ ჩიხში არსებული სპორტული მოედნის შეკეთების სამუშაოები	108202	102792	5410	2020 წლის იანვარი მაისი	
3	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ.ლეხიდრისთავისა და ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფ. ლეყერეთის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რაბილიტაცია ბეტონის საფარით.	2320000	2204000	116000	2020 წლის მაისი ნოემბერი	

4	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ ლეზის დღნორისა - სჩხეური-ლეხიდრისთავის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	2520000	2394000	126000	2020 წლის მაისი ნომბერი
		5656512	5373687	282825	

პაატა ახალაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მ.შ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო